

საარჩევნო ბლოკის

“დიმიტრი ლორთქიფანიძე, კახა კუკავა - დემოკრატიული მოძრაობა- თავისუფალი საქართველო“

წესდება

ჩვენ, ა(ა)იპ პოლიტიკური პარტიის „დემოკრატიული მოძრაობა-ერთიანი საქართველო“ (ს/კ 205271294) თავმჯდომარე დავით ასპანიძე და ა(ა)იპ პოლიტიკური პარტიის „თავისუფალი საქართველო“ (ს/კ 205300510) თავმჯდომარე კახა კუკავა ვხელმძღვანელობთ რა საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 142-ე მუხლით, 2017 წლის 21 ოქტომბრის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოსა და თვითმმართველი ქალაქის/თვითმმართველი თემის მერის არჩევნებისთვის, სრული ნებაყოფლობითობის საფუძველზე, წინამდებარე დოკუმენტზე ხელმოწერით ვთანხმდებით საარჩევნო ბლოკის “დიმიტრი ლორთქიფანიძე, კახა კუკავა - დემოკრატიული მოძრაობა- თავისუფალი საქართველო“ შექმნაზე და არჩევნებში ბლოკის სახით მონაწილეობაზე.

მუხლი 1.

საარჩევნო ბლოკის სახელწოდება

საარჩევნო ბლოკის სახელწოდებაა - “დიმიტრი ლორთქიფანიძე, კახა კუკავა - დემოკრატიული მოძრაობა- თავისუფალი საქართველო“

მუხლი 2.

საარჩევნო ბლოკში გაერთიანებული პარტიები

საარჩევნო ბლოკი - “დიმიტრი ლორთქიფანიძე, კახა კუკავა, - დემოკრატიული მოძრაობა- თავისუფალი საქართველო“ აერთიანებს საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში რეგისტრირებულ პარტიებს: 1. ა(ა)იპ პ/პ „დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველო“ და 2. ა(ა)იპ პ/პ „თავისუფალი საქართველო“.

მუხლი 3.

საარჩევნო ბლოკის ხელმძღვანელი თანამდებობის პირი და მისი უფლებამოსილება

საარჩევნო ბლოკის - "დიმიტრი ლორთქიფანიძე, კახა კუკავა, - დემოკრატიული მოძრაობა- თავისუფალი საქართველო" ხელმძღვანელი თანამდებობის პირია გრიგოლ ბარამიძე .

საარჩევნო ბლოკის ხელმძღვანელის უფლებამოსილება შეუხლუდავია და მას უფლება აქვს განახორციელოს საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ საარჩევნო სუბიექტის ხელმძღვანელი პირისათვის მინიჭებული უფლებამოსილებანი.

მუხლი 4.

საარჩევნო ბლოკის მიერ გადაწყვეტილებათა მიღების წესი, მათ შორის, ბლოკში ახალი პარტიის მიღების, ბლოკიდან პარტიის გასვლისა და გარიცხვის, ბლოკის მიერ წარმომადგენლობითი ორგანოს წევრობის კანდიდატთა წარდგენისა და წარდგენის გაუქმების წესი

1. საარჩევნო ბლოკში - "დიმიტრი ლორთქიფანიძე, კახა კუკავა, - დემოკრატიული მოძრაობა- თავისუფალი საქართველო" გადაწყვეტილებები მიიღება მასში გაერთიანებული პოლიტიკური პარტიების მიერ, ერთობლივად შეთანხმებული ზეპირი გადაწყვეტილებით, რომელიც ფორმდება საარჩევნო ბლოკის ხელმძღვანელი თანამდებობის პირის წერილობითი გადაწყვეტილებით, რაც იმავდროულად საარჩევნო ადმინისტრაციაში წარსადგენი დოკუმენტია.
2. საარჩევნო ბლოკში ახალი პარტიის მიღებაზე გადაწყვეტილებას იღებენ მასში გაერთიანებული პოლიტიკური პარტიების ხელმძღვანელი ორგანოები, ერთობლივად.
3. საარჩევნო ბლოკიდან გასვლა ნებაყოფლობითია. აღნიშნულის შესახებ გასვლის სურვილის მქონე სუბიექტის მხრიდან წერილობითი ფორმით უნდა ეცნობოს საარჩევნო ბლოკს და საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას.

4. საარჩევნო ბლოკში შემავალი პარტიის გარიცხვის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საარჩევნო ბლოკის ხელმძღვანელი თანამდებობის პირი.
5. საარჩევნო ბლოკის მიერ მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს წევრობისა და თვითმმართველი ქალაქის/თვითმმართველი თემის მერის კანდიდატთა წარდგენასა და წარდგენის გაუქმებაზე გადაწყვეტილებას იღებს საარჩევნო ბლოკის ხელმძღვანელი თანამდებობის პირი.

მუხლი 5.

საარჩევნო ბლოკის დოკუმენტაციაზე ხელმოწერის უფლებამოსილება

ყველა სახის საარჩევნო დოკუმენტაციაზე ხელმოწერის უფლებამოსილება მინიჭებული აქვს საარჩევნო ბლოკის ხელმძღვანელს გრიგოლ ბარამიძეს.

მუხლი 6.

საარჩევნო ღონისძიებებთან დაკავშირებით საარჩევნო ბლოკში გაერთიანებული ერთ-ერთი პარტიის სიმბოლიკის გამოყენების წესი

საარჩევნო დოკუმენტბრუნვისას გამოყენებული იქნება პ/პ „დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველო“ სიმბოლიკა და ბეჭედი. საარჩევნო პერიოდში ყველა დოკუმენტაციას ხელს აწერს ბლოკის ხელმძღვანელი თანამდებობის პირი, რაც დამოწმებული იქნება პ/პ „დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველო“ ბეჭდით.

მუხლი 7.

საარჩევნო ბლოკის საარჩევნო კამპანიის ფონდის ანგარიშის განსაზღვრა

საარჩევნო ბლოკის - „დიმიტრი ლორთქიფანიძე, კახა კუკავა - დემოკრატიული მოძრაობა- თავისუფალი საქართველო“ საარჩევნო კამპანიის ფონდის ანგარიშად ბლოკში შემავალი პარტიები გამოიყენებენ პ/პ „დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოს“ კომერციულ ბანკში არსებულ საბანკო ანგარიშის ნომერს. საარჩევნო კამპანიის პერიოდში ფონდიდან ხარჯების გაწევის მიზნით.

მუხლი 8.

საარჩევნო კამპანიის ხარჯებზე პასუხისმგებელი პირების, მმართველისა და
ბუღალტრის დანიშვნის წესი

საარჩევნო ბლოკის სახელით, საარჩევნო კამპანიის ხარჯებზე პასუხისმგებელი პირია საარჩევნო კამპანიის ფონდის მმართველი და ფონდის ბუღალტერი, რომელთაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს საარჩევნო ბლოკის ხელმძღვანელი. საარჩევნო კამპანიის ფონდის მმართველია: აკაკი კიკვაძე

საარჩევნო კამპანიის ონციის ბუღალტერია: ნანა
ზარნაბიშვილი,

მუხლი 9.

არჩევნებში მონაწილეობისათვის რიგითი ნომრის განსაზღვრის საკითხი

1. 2017 წლის 21 ოქტომბრის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოსა და თვითმმართველი ქალაქის/თვითმმართველი თემის მერის არჩევნებისთვის, საარჩევნო ბლოკი - "დიმიტრი ლორთქიფანიძე, კახა კუკავა - დემოკრატიული მოძრაობა- თავისუფალი საქართველო" მონაწილეობას მიიღებს ნომრით - „3“, რომლის გამოყენების უფლება პოლიტიკურ პარტიას „თავისუფალი საქართველო“ ენიჭება საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 145-ე მუხლის მე-8¹ პუნქტის შესაბამისად. ნომერი „3“ ასევე მიეკუთვნება საარჩევნო ბლოკის მიერ წარსადგენ საკრებულოს მაჟორიტარობისა და თვითმმართველი ქალაქის/თვითმმართველი თემის მერობის კანდიდატებს.
2. 2017 წლის 21 ოქტომბრის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოსა და თვითმმართველი ქალაქის/თვითმმართველი თემის მერის არჩევნების შემდეგ, ნომერი „3“ რჩება საარჩევნო ბლოკის „დიმიტრი ლორთქიფანიძე, კახა კუკავა - დემოკრატიული მოძრაობა-

თავისუფალი საქართველო“ NI პოლიტიკურ პარტიას „დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველო“.

მუხლი 10.

საარჩევნო ბლოკის წესდებაში ცვლილების შეტანის წესი

წარმოდგენილ წესდებაში ცვლილების შეტანა განხორციელდება მისი მიღებისათვის დადგენილი წესით - ა(ა)იპ პ/პ „დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოსა“ და ა(ა)იპ პ/პ „თავისუფალი საქართველო“ ხელმძღვანელი თანამდებობის პირების მიერ ხელმოწერილი დოკუმენტით.

ა(ა)იპ პოლიტიკური პარტია

„დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველო“



დავით ასპანიძე

ა(ა)იპ პოლიტიკური პარტია

„თავისუფალი საქართველო“

კახა კუკავა